

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე
საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3259
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის შესახებ

ა) დადგენილების ზოგადი ინფორმაცია

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

ენერგეტიკულ სექტორში განსახელმწიფოებულ იქნა ელექტროსადგურები და ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელი და საპრივატიზაციო პირობების თანახმად, 3 წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს საქართველოში არსებული მომხმარებლების ინდივიდუალური განმრიცხველიანება. ყოველივე ეს განაპირობებს საბაზრო ურთიერთობებში კონკურენტული გარემოსა და მეტი საბითუმო მყიდველის შექმნას, რაც თავის მხრივ საჭიროებს სამართლებრივი ბაზის შექმნას.

დადგენილების მეორე ცვლილების მიზეზია სამართლებრივი ხარვეზის აღმოფხვრა.

ა.ბ) დადგენილების მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღება განაპირობებს ინვესტიციების ხელშეწყობას და საბაზრო ურთიერთობებში კონკურენტული გარემოს შექმნას. აგრეთვე ხელს შეუწყობს მეტი ელექტროენერჯის საბითუმო მყიდველის წარმოქმნას, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ ელექტროენერჯია შეისყიდონ ნებისმიერი გამყიდველისაგან.

დადგენილების მეორე ცვლილება სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს მარეგულირებელი კომისიის მიერ ერთობლივად და ცალცალკე ტარიფის რამოდენიმე კატეგორიის გამოყენებას.

ა.გ) დადგენილების ძირითადი არსი:

დღეს მოქმდი დადგენილების შესაბამისად, პირდაპირი მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის შესყიდვის მინიმალური კვოტები გაწერილია 2023 წლამდე, ხოლო დადგენილების პროექტის მიხედვით, აღნიშნული კვოტები თანმიმდევრულად მცირდება 2017 წლამდე, ხოლო 2017 წლიდან საერთოდ უქმდება და ნებისმიერი მომხმარებელი უფლებამოსილი იქნება ელექტროენერჯია, მისი მოხმარების მოცულობის მიუხედავად, შეისყიდოს ნებისმიერი გამყიდველისაგან.

იმის გამო, რომ რამოდენიმე სახის ტარიფის ცალცალკე და ერთდროულად გამოყენება პრაქტიკულად ხორციელდება, წარმოდგენილი დადგენილებით მოხდება აღნიშნულის უფრო მკაფიო სამართლებრივი განსაზღვრა.

ბ) დადგენილების ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) დადგენილების გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

დადგენილების მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილების მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) დადგენილების ახალი ფინანსური ვალდებულებები:

დადგენილების მიღება არ იწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) დადგენილების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების მოქმედება:

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების მიღება, დადგენილების მიღებით მოსალოდნელი ფინანსური შედეგების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია.

ბ.ვ) დადგენილებით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი:

დადგენილებით არ დგინდება ახალი გადასახადები, მოსაკრებლები ან სხვა სახის გადასახადი.

გ) დადგენილების მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) დადგენილების მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

დადგენილება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრად

დადგენილების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) დადგენილების მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

დადგენილება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაშია.

დ) დადგენილების მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების შემუშავებაში:

დადგენილების მომზადების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ ექსპერტებსა და კონსულტანტებს.

დ.გ) დადგენილების ავტორი:
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

დ.დ) დადგენილების ინიციატორი
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი